

მიმოხილვა REVIEW ARTICLES

ნინო დობორჯგინიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
nino_doborjginidze@iliauni.edu.ge

მაია დამენია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
maia.damenia.1@iliauni.edu.ge

თამარ ჭეიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
tamar.cheishvili@iliauni.edu.ge

ანა ჭკუასელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ana.chkuaseli@iliauni.edu.ge

DOI: 10.32859/kadmos/17/88-101

ემანუელე და იგლესიასის ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული ლექსიკონის ხელნაწერის გრამატიკული ნაწილი*

2011-2012 წლებში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული სამეცნიერო ექსპედიცია ინტენსიურად იკვლევდა იტალიის არქივებში დაცულ ქართულ ხელნაწერებს.¹ ექსპედიციის ფარგლებში სამეცნიერო ჯგუფმა ქ. რომში, კაპუცინელების გენერალურ არქივში, მიაკვლია საქართველოში მოღვაწე მისიონერის, ემანუელე და იგლესიასის, მიერ შედგენილ ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული ლექსიკონის ხელნაწერს (AC 28). ხელნაწერი დამუშავდა და გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის „XVII-XIX საუკუნეების ევროპული რელიგიური მისიების წყაროთა ინტერპრეტაციისათვის. საქართველო ადრეული გლობალური ისტორიისა და მოდერნიზაციის პერსპექტივიდან“ ფარგლებში (2021-2025 წ.).

* სტატია იბეჭდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის (HE-21-977) ფარგლებში.

1 ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ნოდარ ლადარია, ექსპედიციის ხელმძღვანელი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ნინო დობორჯგინიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ალექსანდრე თვარაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), სალომე კენჭოშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), მიხეილ მირაშვილი (თავისუფალი უნივერსიტეტი).

ავტორის შესახებ

ხელნაწერზე გაკეთებული მინაწერის მიხედვით, ემანუელე და იგლესიასი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში XIX საუკუნის პირველ ნახევარში, 19 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა. სავარაუდოდ, ნაშრომიც ამ პერიოდში უნდა შექმნილიყო. პროპაგანდა ფიდეს 1845 წ. ანალებში გამოქვეყნებულია საქართველოში კაპუცინელთა სამოციქულო პრეფექტის, დამიანო და ვიარეჯიოს, 1-13 თებერვლით დათარიღებული წერილი, რომელშიც პრეფექტი საქართველოდან რუსების მიერ კათოლიკე მისიონერთა განდევნის ციკლის ბოლო ეპიზოდს აღწერს. აღნიშნული წერილიდან ვიგებთ, რომ და იგლესიასი გორის კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლი იყო, რომელიც რუსმა ჩინოვნიკებმა 1845 წ. ძალისმიერი მეთოდებით ჯერ ეკლესიიდან გააძევეს, შემდეგ კი ქვეყნიდან განდევნეს (Viareggio 1845, 268).

ხელნაწერის შესახებ

ხელნაწერი არათანმიმდევრულად არის აკინძული და 136 ფოლიოსგან შედგება. გვხვდება როგორც რამდენჯერმე გადანომრილი გვერდები, ისე საარქივო ფურცლობრივი დანომვრა. და იგლესიასის ნაშრომი გრამატიკული ნაწილით იწყება და მოიცავს 001^r-018^r, 129^r-136^v, არასრული ქართულ-იტალიური ლექსიკონი – 019^r-025^v, ხოლო იტალიურ-ქართული ნაწილი – 026^r-128^r ფოლიოებს.

ხელნაწერის გამოცემის შესახებ

ემანუელე და იგლესიასის ლექსიკონზე მუშაობა ითვალისწინებდა ხელნაწერის წაკითხვასა და ავტოგრაფული გამოცემის მომზადებას. ნაშრომის მოცულობის გათვალისწინებით, პროექტის ფარგლებში, ლექსიკონის არასრული ქართულ-იტალიური ნაწილი გამოქვეყნდა (დობორჯგინიძე და სხვ. 2023) და მზადდება ლექსიკონის ძირითადი, იტალიურ-ქართული ნაწილისა და გრამატიკული მიმოხილვის ბეჭდური და ციფრული გამოცემა.

როგორც აღვნიშნეთ, და იგლესიასის ხელნაწერი არათანმიმდევრულად არის აკინძული; გამოცემაში უცვლელად დავტოვეთ საარქივო ფურცლობრივი დანომვრა. ორად გაყოფილი გრამატიკული ნაწილი (სულ 26 ფოლიო) გავაერთიანეთ, რადგან 8 ფოლიო, არასწორი აკინძვის შედეგად, ხელნაწერის ბოლოს იყო მოქცეული.

გამოცემის მომზადებისას გრამატიკულ, ისევე, როგორც სალექსიკონო ნაწილში ხაზები დაინომრა. ნუმერაციის ათვლა იწყება ყოველი ახალი გრამატიკული თემის შესაბამისად. ნუმერაციას მიჰყვება

კრიტიკული აპარატი, რომელშიც შეტანილია კომენტარები და შესწორებები. კრიტიკულ აპარატში არ ასახულა ქართულ თუ იტალიურ სიტყვათა დიალექტური მნიშვნელობები, გარდა ამა თუ იმ ნაკლებ საცნობი დიალექტური სიტყვისა, რომელიც პარალელური, მეტად საცნობი ფორმით არის განმარტებული.

ხელნაწერში ხშირად ვხვდებით სხვადასხვა პირობით ნიშანს, რომელიც ცალკეულ სიტყვათა შინაარსობრივ თუ პოზიციურ ურთიერთმიმართებას აჩვენებს. გამომცემელთა მიერ აღნიშნული ნიშნების უნიფიცირება მოხდა ერთი კონკრეტული ნიშნით. გვხვდება შემთხვევა, როცა ორ სხვადასხვა სიტყვაში ერთი და იმავე ტიპის ორთოგრაფიული შესწორება მინიშნებულია ციფრით, რაც ტექსტში შესწორდა და პირველადი სახით კრიტიკული აპარატის ნაწილში აღვადგინეთ; სტანდარტული თუ არასტანდარტული, სხვადასხვა სახეობის სიტყვათშემოკლებანი სრული სახით არის მოცემული; უცვლელად დავტოვეთ გრამატიკული ტერმინოლოგია, სიტყვათა ორთოგრაფია და პუნქტუაცია, რომლებიც ხშირად კანონზომიერების განსაზღვრულ წესებს არ ექვემდებარება; არ ვთარგმნეთ ტექსტში ხშირად გამოყენებული სიტყვები თუ ფრაზები, როგორიც არის ‘verbi gratia’ („მაგალითად“), ‘(el)’ („ან“) და ა.შ.

ხელნაწერის გრამატიკული ნაწილის აღწერა

ემანუელე და იგლესიასის ლექსიკონი განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი წარმოადგენს ადრეული მოდერნულობის პერიოდის პირველი ქართული ლექსიკოგრაფიული ნაშრომის რეპრეზენტაციას დასავლურ სამყაროში. კვლევა აჩვენებს (დობორჯგინიძე და სხვ. 2023, 5-29), რომ ავტორს ლექსიკონის ქართულ-იტალიური ნაწილის შედგენისას უცვლელად გადმოაქვს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანი და, ხშირ შემთხვევაში, თარგმნის სალექსიკონო ლემათა საბასეულ განმარტებებსაც.

და იგლესიასი, ევროპული ლექსიკოგრაფიული ტრადიციის თანახმად, ორენოვან ლექსიკონს გრამატიკულ ნაწილს დაურთავს. მისიონერი ავტორები საქართველოში გრამატიკულ მიმოხილვებს მისიონარული საქმიანობის საწყის ეტაპზე (XVII-XVIII ს. ს.) დამოუკიდებლად ქმნიდნენ, მომდევნო პერიოდში კი ეყრდნობოდნენ ანტონ I-ის (1720-1788 წ.) ქართულ გრამატიკას (უთურგაიძე 1999, 28-29). აქამდე ცნობილი და შესწავლილი მისიონარული ლექსიკონების გრამატიკული მიმოხილვები (პირველ რიგში, პაოლინისა და ირბახის ლექსიკონი (1629)) მისიონარული ტრადიციის პირველ პერიოდს განეკუთვნება. დღეისათვის ცნობილი მიმოხილვებიდან, და იგლესიასის გრამატიკა მეორე პერიოდში შექმნილი ერთადერთი ტექსტია, რომელშიც მკა-

ფიოდ იკვეთება ქართული ლინგვისტური ტრადიციის მნიშვნელოვანი კვალი (ჭკუასელი 2021, 9). ამდენად, იგი წარმოადგენს ადრეული მოდერნულობის პერიოდის ტრადიციული ქართული გრამატიკის (გრამატიკული τέχνη-ს) პროექციას დასავლურ (იტალიურ) სივრცეში.

სახელთა ბრუნებისათვის

ხელნაწერის გამოცემის თანაავტორმა, ანა ჭკუასელმა, თავის სადისერტაციო ნაშრომში – „ქართული ფილოლოგიის ისტორიიდან: კათოლიკური ინკულტურაცია და XVIII-XIX საუკუნეების უცნობი ლექსიკონები“ – ემანუელე და იგლესიასის გრამატიკა ანტონის „ქართულ ლრამმატიკას“ (1885წ.). შეადარა. შედეგად, ცხადი გახდა, რომ იტალიელი მისიონერი ქართული ენის გრამატიკის აღწერისას ხშირად უცვლელად იმეორებს ანტონის სახელთა ბრუნების წესებს (ჭკუასელი 2021, 60-61).

ქართულ და არა მარტო ქართული ენის მისიონერულ გრამატიკებში, როგორც წესი, სახელის ბრუნების პარადიგმა ლათინურს მიჰყვება. ემანუელე კი, ანტონის მსგავსად, ქართული სახელდებით, ცხრა, მათ შორის, მოთხრობით ბრუნვას წარმოადგენს; ვხვდებით ერთ განსხვავებას. ემანუელე ასახელებს შორისდებითს, რომელიც არა ანტონთან, არამედ ზურაბ შანშოვანის გრამატიკულ ტრაქტატში (1737 წ.) (ცაგარელი 1881) დასტურდება სხვა სახელწოდებით – საშორისმყოფო (მაგ., „კაცში“).

ტაბულა 1: ბრუნვათა ჩამონათვალი შანშოვანის, ანტონ I-ისა და იგლესიასის მიხედვით

შანშოვანი (გვ. 15)	ანტონი (გვ. 7)	და იგლესიასი (fol. 001 ^r)
საწრფელო	წრფელობითი	წრფელობითი
სანათესაო	ნათესაობითი	ნათესაობითი
სამიცემადო	მიცემითი	მიცემითი
სამოქმედო	შემასმენელობითი	შემასმენელობითი
საძიებო	დაწყებითი	გამოღებითი
სადასაბამო	მოთხრობითი	მოთხრობითი
სამეტყველო	მოქმედებითი	მოქმედებითი
საშორისო	წოდებითი	შორისდებითი
საგარმყოფო		წოდებითი
საწოდებო		

შანშოვანის გრამატიკა პირველად 1881 წ. გამოქვეყნდა. თარიღი არ ემთხვევა მისიონერის ლექსიკონზე მუშაობის სავარაუდო პერიოდს – XIX საუკუნის პირველ ნახევარს, ამდენად, ნაკლებ სარწმუნოა, რომ ემანუელე შანშოვანის გრამატიკას იცნობდა. რამდენადაც შორისდებითი ბრუნვა აქამდე ცნობილ არცერთ მისიონერულ გრამა-

ტიკაში არ დასტურდება, ანა ჭკუასელი მიიჩნევს, რომ ბრუნვის ეს ფორმა ტექსტში ხალხური მეტყველებიდან შევიდა, რომელსაც მისიონერები გრამატიკის შედგენისას ხშირად ეყრდნობოდნენ (ჭკუასელი 2021, 61).

ბრუნების ტიპები

და იგლესიასი საზოგადო და საკუთარ სახელთა ბრუნების ტიპებს ანტონის მსგავსად ხსნის. ხშირ შემთხვევაში, მაგალითებიც იდენტურია. ამის მიუხედავად, მისიონერი, ქართველი გრამატიკოსისგან განსხვავებით, -ებიანი მრავლობითის ფორმებს წრფელობითსა და წოდებით ბრუნებშიც იყენებს, რაც ასევე სამეტყველო ენიდან უნდა იყოს აღებული. დანარჩენ შემთხვევებში, ემანუელე იზიარებს ხმოვანფუძიანი საკუთარი და საზოგადო სახელების ბრუნების ანტონისეულ პარადიგმასა და ბრუნების თავისებურებებს: „საკუთარი სახელები -ა დაბოლოებას არ კარგავენ, არამედ დაირთავენ ნათესაობითში -სი, გამოღებითში -სისაგან, მოქმედებითში კი -ითა დაბოლოებებს“ (fol. 001^v):

ტაბულა 2.1. ბრუნების ტიპები ანტონ I-ის მიხედვით (გვ. 9)

	მხოლობითად	მრავლობითად
წრფელობითი	არსება	არსებანი
ნათესავობითი	არსებისა	არსებებისა
მიცემითი	არსებას	არსებებს
შემასმენელობითი	არსებაჲ	არსებანი
დაწყებითი	არსებისაგან	არსებებისაგან
მოთხრობითი	არსებამან	არსებებმანი
მოქმედებითი	არსებითა	არსებებითა
წოდებითი	ჟ არსებაო	ჟ არსებანო

ტაბულა 2.2. ბრუნების ტიპები და იგლესიასი მიხედვით (fol. 001^r)

	მხოლ.	Sing.	მრავლ.	Plur.
წრფ.	არსება	l'essenza	არსებაები	l'essenze
ნათ.	არსებისა	dell'essenza	არსებებისა	dell'essenze
მიც.	არსებასა	all'essenza	არსებაებსა	alle essenze
შემ.	არსებაჲ	l'essenza	არსებაები	l'essenze
გამ.	არსებისაგან	dall'essenza	არსებაებისაგან	dall'essenze
მოთ.	არსებამან	l'essenza	არსებაებმან	l'essenze

მოქ.	არსებით	coll'essenza	არსებაებითა	coll'essenze
შორ.	არსებაში	nell'essenza	არსებაებში	nell'essenze
წოდ.	შ არსებავ	o essenza	შ არსებაებო	o essenze

ანტონს მიჰყვება ემანუელე ე-ზე დაბოლოებული სახელის ბრუნების აღწერისას, როცა ამბობს: „ე-ზე დაბოლოებული საკუთარი სახელები ყველა ბრუნვაში ინარჩუნებენ სახელობითი ბრუნვის სრულ ფორმას და იბრუნვიან ა-ზე დაბოლოებული საკუთარი სახელების მსგავსად...“ (fol. 001^v). მაგალითიც იდენტური მოჰყავს; ნაბრუნებია „მზე“:

ტაბულა 2.3. ბრუნების ტიპები ანტონ I-ის მიხედვით (გვ. 10)

	მხოლოდითად	მრავლობითად
წრფელობითი	მოზე	მზენი
ნათესავობითი	მზისა	მზეებისა
მიცემითი	მზეს	მზეებს
შემასმენელობითი	მზედ	მზენი
დაწყებითი	მზისაგან	მზეებისაგან
მოთხრობითი	მზემან	მზეებმან
მოქმედებითი	მზითა	მზეებითა
წოდებითი	მზეო	მზეებო

ტაბულა 2.4. ბრუნების ტიპები და იგლესიასის მიხედვით (fol. 001^v)

	მხლ.	Sing.	მრავლ.	Plur.
წრფ.	მზე	il Sole	მზეები	i Soli
ნათ.	მზისა	del Sole	მზეებისა	dei Soli
მიც.	მზეს	al Sole	მზეებს	ai Soli
შემ.	მზედ	il Sole	მზეები	i Soli
გამ.	მზისაგან	dal Sole	მზეებისაგან	dai Soli
მოთ.	მზემან	il Sole	მზეებმან	i Soli
მოქ.	მზითა	col Sole	მზეებითა	coi Soli
შორ.	მზეში	nel Sole	მზეებში	nei Soli

ემანუელეს ანტონისგან აქვს გადმოწერილი ი-ზე დაბოლოებული სახელის ბრუნების წესიც. მისიონერი აბრუნებს სიტყვა „ტაძარს“ და აღნიშნავს:

... ი-ზე დაბოლოებულ სახელებში, რომლებიც, სულ ცოტა, სამ მარცვალს შეიცავენ, ბოლოსწინა ხმოვანი იკუმშება მხოლობითი რიცხვის ნათესაობითში, გამოღებითა და მოქმედებითში, ასევე მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში ... ამასთან, მოქმედებითი ბრუნვის გარდა, მრავლობით რიცხვში [ბოლოსწინა ხმოვანი] არ იკუმშება. ხალხურ ენაში მსგავსად იკუმშვიან სხვა ხმოვნებზე და-ბოლოებული სახელებიც, რომლებიც არ შეიცავენ სამ მარცვალს, როგორც, მაგალითად, გერუნდიუმის ფორმა „შესაყვარებელად“; რომელსაც შეკუმშვის შედეგად გამოთქვამენ როგორც „შესაყვარებლად“ და სხვა მრავალ შემთხვევაშიც. (fol. 002¹)

ტაბულა 2.5. ბრუნების ტიპები ანტონ I-ის მიხედვით (გვ. 11)

	მხოლობითად	მრავლობითად
წრფელობითი	ტაძარი	ტაძარნი
ნათესავობითი	ტაძრისა	ტაძრებისა
მიცემითი	ტაძარს	ტაძრებს
შემასმენლობითი	ტაძარი	ტაძრები
დაწყებითი	ტაძრისაგან	ტაძრებისაგან
მოთხრობითი	ტაძარმან	ტაძრებმან
მოქმედებითი	ტაძრითა	ტაძრებითა
წოდებითი	ტაძარო	ტაძრებო

ტაბულა 2.6. ბრუნების ტიპები და იგლესიასის მიხედვით (fol. 001¹)

	მხოლ.	Sing.	მრავლ.	Plur.
წრფ.	ტაძარი	il Tempio	ტაძრები	i Tempi
ნათ.	ტაძრისა	del Tempio	ტაძრებისა	dei Tempi
მიც.	ტაძარსა	al Tempio	ტაძრებსა	ai Tempi
შემ.	ტაძარი	il Tempio	ტაძრები	i Tempi
გამ.	ტაძრისაგან	dal Tempio	ტაძრებისაგან	dai Tempi
მოთ.	ტაძარმან	il Tempio	ტაძრებმან	i Tempi
მოქ.	ტაძრითა	col Tempio	ტაძრებითა	coi Tempi
შორ.	ტაძარში	nel Tempio	ტაძრებში	nei Tempi
წოდ.	ტაძარო	o Tempio	ტაძრებო	< - >

ემანუელე, „ტაძრის“ ბრუნებისას, -ებიან მრავლობითთან ერთად, ნართანიანი არქაული ფორმების გამოყენების წესებსაც ხსნის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისიონერი ამ სიტყვის ძველ ქართულ დაწერი-

ლობას იცნობს და ამდენად, სამწერლობო ქართულ ენას: „ნართანიან მრავლობითში, რომელიც ყველა ბრუნვისთვის გამოიყენება, სახელის ფუძე წრფელობითსა და მხოლობითი რიცხვის მიცემით ბრუნვებში თანხედება“ (fol. 002^r).

ემანუელესთან და ანტონთან ო-ზე დაბოლოებული სიტყვების ბრუნების მსგავსი პარადიგმა გამოყენებული:

ტაბულა 2.7. ბრუნების ტიპები ანტონის მიხედვით (გვ. 12)

	მხოლობითად	მრავლობითად
წრფელობითი	ოქრო	ოქრონი
ნათესავობითი	ოქროსა	ოქროებისა
მიცემითი	ოქროს	ოქროებს
შემასმენლობითი	ოქროდ	ოქრონი
დაწყებითი	ოქროსაგან	ოქროებისაგან
მოთხრობითი	ოქრომან	ოქროებმან
მოქმედებითი	ოქროდთა	ოქროებითა
წოდებითი	ოქროო	ოქრონო

ტაბულა 2.8. ბრუნების ტიპები და იგლესიასის მიხედვით (fol. 002^r)

	მხოლ.	Sing.	მრავლ.	Plur.
წრფ.	ოქრო	l'Oro	ოქროები	li Ori
ნათ.	ოქროსი	dell'Oro	ოქროებისა	delli Ori
მიც.	ოქროს	all'Oro	ოქროებსა	alli Ori
შემ.	ოქროდ	l'Oro	ოქროები	li Ori
გამ.	ოქროსაგან	dall'Oro	ოქროებისაგან	dalli Ori
მოთ.	ოქრომან	l'Oro	ოქროებმან	li Ori
მოქ.	ოქროთი	coll'Oro	ოქროებითა	colli Ori
შორ.	ოქროში	nell'Oro	ოქროებში	nelli Ori
წოდ.	ჟ ოქრო	o Oro	ჟ ოქროებო	o Ori

მსგავსადვე მოცემულია უ-ზე დაბოლოებული სახელების ბრუნების წესი: „უ-ზე დაბოლოებული სახელები, რომლებსაც ნათესაობითში დაერთვის არა -ისი, არამედ -სი ბრუნვის ნიშანი.“

ემანუელეს გრამატიკაში სახელების, მიმართებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების ბრუნებას რაოდენობითი და წილობითი რიცხვითი სახელების ბრუნება მოსდევს. მისიონერი ნაცვალსახელებს ვრცლად არ განიხილავს და ბრუნების პარადიგმებს წარმოადგენს, რომელთა უმეტესობა ანტონის გრამატიკას მიჰყვება.

ამასთან, მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნებისას, „ქართული ღრამმატიკაზე“ დაყრდნობით, ბრუნვათა რიგიდან ამოღებულია წოდებითი ბრუნვა: „მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელი“ ... არა აქვს წოდებითი ბრუნვის ფორმა და იბრუნვის ი-ზე დაბოლოებული კუმშვადი არსებითი სახელების მსგავსად“ (fol. 002“).

ნაცვალსახელთა ბრუნებას მოსდევს რაოდენობითი რიცხვითი სახელების ჩამონათვალი და რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოების წესები. მისიონერი ნაცვალსახელთა ბრუნებისას ანტონის გრამატიკას ეყრდნობა; მოკლედ აღწერს ბრუნების წესებს და აღნიშნავს, რომ „ყველა ეს წესი საკმარისია სახელთა საბრუნებლად...“ და წარმოადგენს პირველი („მე და ჩვენ“), მეორე („შენ და თქვენ“) და მესამე („ის და ისინი; იგი და იგინი“) პირის ნაცვალსახელთა, „ეს, ამ“, „თვისი, მისი, მათი“ და ზედსართაული („შენი, ჩვენი, თქვენი, მისი, მათი, ჩვენებისა, თქვენებისა“) ნაცვალსახელების ბრუნების პარადიგმებს.

მისიონერი სახელისა და ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმების შედგენისას ძირითადად ქართულ გრამატიკულ ტრადიციას ეყრდნობა, ხოლო ზმნური პარადიგმების შედგენისას – 1724 წლით დათარიღებულ „გორულ გრამატიკას“. ნაცვალსახელთა აღწერის შემდეგ ემანუელე 56 ზმნის უღლების პარადიგმას, შემდეგ კი ზმნების წარმოებისა და უღლების წესებს წარმოადგენს.

გრამატიკული აღწერის შემდეგი თავი მიმღეობას ეთმობა. მისიონერი აღნიშნავს, რომ ყველა ზმნა მიმღეობისა და გერუნდივის საკუთარ ფორმას აწარმოებს, ამდენად, მიმღეობათა წარმოების წესი ქართულში არ არსებობს და მათი შესწავლა მხოლოდ მაგალითებით არის შესაძლებელი. ემანუელე აქაც უცნობი მისიონერის „გორულ გრამატიკას“ ეყრდნობა.

მიმღეობათა განხილვას მოსდევს ზმნიზედათა წარმოების რამდენიმე წესი:

1. ზოგიერთი ზმნიზედა ზედსართავი სახელისგან იწარმოება -ათ დაბოლოების დართვით, ხოლო ზედსართავი სახელის ბოლო ასო იკვეცება...;
2. წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელებიდან წარმოებ ზმნიზედებს -ულათ დაბოლოება დაერთვის...;
3. მტკიცებითი ზმნიზედები იწარმოება სახელებზე -თ ასოს დართვით...;
4. უარყოფითი ზმნიზედების წარმოებისას მტკიცებით ფორმას უ- წინსართი დაერთვის, ხოლო ბოლო ხმოვანს -ოთ კომპლექსი ენაცვლება...

ზმნიზედათა წარმოების წესების აღწერის შემდეგ მისიონერი გრამატიკულ შეთანხმებებს განიხილავს:

1. როცა არსებით სახელს ახლავს სიმრავლის აღმნიშვნელი რომელიმე მეტყველების ნაწილი, ზედსართავი სახელი მხოლოდით რიცხვში, არსებითი სახელი კი მრავლობით რიცხვში დგას...; 2. სალაპარაკო ენაში ზედსართავი და არსებითი სახელების შეთანხმებისას, ზედსართავი ყოველთვის წრფელობით ბრუნვაში დგას, არსებითი სახელი კი ზმნას პირში და არა რიცხვში უთანხმდება, რადგან არსებითი სახელი მრავლობით რიცხვში გადადის...

ავტორი ვრცლად მსჯელობს ზმნათა აგებულების შესახებ:

1. ზმნა, როგორც წესი, სახელს შემასმენლობით ბრუნვაში შეიწყობს...; 2. „ყოფნა“ ზმნა ... ორ სახელს წრფელობით ბრუნვაში ითანხმებს...; 3. უქონლობის გამომხატველი ზმნა სახელს, ში- თანდებულის დართვითა და ბოლოკიდური ხმოვნის კვეციტ, წრფელობით ბრუნვაში შეიწყობს...; 4. შიშის გამომხატველი ზმნები სახელს, გან- თანდებულის დართვით, გამოღებით ბრუნვაში ითანხმებს...; 5. ადგილის აღმნიშვნელი ზმნები წრფელობით ბრუნვაში შეიწყობს სახელს, რომელსაც ში- თანდებული დაერთვის, ხოლო ში-თანდებულიანი სახელი გამოღებით ბრუნვაში დგება „ოთახში ვარ. სახდარში მილოცნია“; 6. გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნები სახელს, დამ- თანდებულის დართვით, გამოღებით ბრუნვაში შეიწყობს ... „გორიდან მოვალ“; 7. გადაადგილებისა და მიმართულების გამომხატველი ზმნები სახელს მიცემით ბრუნვაში ითანხმებენ ... „გორს მივალ“; 8. ზმნები, რომლებიც განსაზღვრულ, დახურულ სივრცეში გადაადგილებას გამოხატავენ, სახელს, ში- თანდებულის დართვით, გამოღებით ბრუნვაში შეიწყობენ ... „ბაზარში, ოთახში, სახლში, ბაზში მივალ“.

ზმნათა აგებულების შესახებ მსჯელობას ცალკე თავად მოსდევს მისიონერის დაკვირვებები ქართულ გრამატიკაზე:

1. სალაპარაკო ქართულში სახელი წინ უსწრებს ზმნას, ხოლო ზმნიზედა – სახელს. მაგალითად, „მალე ღვინო მამიტანე“; 2. თანდებულები თითქმის ყოველთვის თან ერთვის სახელს. მაგალითად, „კაცისაგან“; 3. უსულო საგნები, რიცხვის მიუხედავად, ზმნას არა მრავლობით, არამედ მხოლოდით რიცხვში შეიწყობს. მაგალითად, „ქალაქში ბევრი ციხები არის“. მრავლობითი რიცხვის სულიერი სახელები კი ზმნას მრავლობით რიცხვში შეიწყობს. მაგალითად, „აქ გორში მრავალი კაცები არიან[...]“ მისიონერი დასძენს: „ზმნის აგებულებასთან დაკავშირებული წესების გადმოცემა თითქმის შეუძლებელია, ამიტომ, მეტი სიცხადისთვის, გადავწყვიტე წესების მარტივად, მაგალითებით ახსნა ... პრეზენსისა და იმპერფექტუმის თხრობით კილოში მოქმედი პირი ...

მიცემით ბრუნვაში დგას, ხოლო სამოქმედო პირი ან საგანი – შემასმენლობით ბრუნვაში ... „კაცს ღმერთი უყვარს. კაცს ღმერთი უყვარდა“ ... პერფექტუმის პირველ დროში მოქმედი პირი – წრფელობით ბრუნვაში, ხოლო სამოქმედო პირი ან საგანი შემასმენლობით ბრუნვაში დგას ... „მე ღმერთი შევიყვარე“ ამავე დროში მესამე სუბიექტურ პირს წრფელობით ბრუნვაში -მა ბოლოსართი დაერთვის ... „კაცმა ღმერთი შეიყვარა. პეტრემა მითხრა“; ... პერფექტუმის მეორე დროში მოქმედი პირი მიცემით ბრუნვაშია, ხოლო სამოქმედო – შემასმენლობითში ... „კაცსა ღმერთი შეუყვარებია“; პლუსკვამპერფექტუმში მოქმედი პირი მიცემით ბრუნვაში დგას, ხოლო სამოქმედო პირი ან საგანი – შემასმენლობითში ... „კაცს ღმერთი შეეყვარა“; ... ფუტურუმში მოქმედი პირი წრფელობითშია, ხოლო სამოქმედო – მიცემითში ... „კაცი ღმერთს შეიყვარებს“; „... ბრძანებით კილოში მოქმედი პირი წოდებითში დგას, ხოლო სამოქმედო პირი ან საგანი – შემასმენლობითში ... „კაცო, ღმერთი შეიყვარე“ ... ბრძანებითის მესამე პირი, წოდებითის ნაცვლად, წრფელობით ბრუნვაში დგება და დაირთავს -მან, -მ და სხვა ბოლოსართებს ... „კაცმან ღმერთი შეიყვაროს. პეტრემ მასწავლოს. პავლემ წაიკითხოს“; ... ნატვრითსა და კავშირებით კილოებში მოქმედი პირი წრფელობით ბრუნვაში დგას და დაირთავს ზემოხსენებულ ბოლოსართებს, ხოლო სამოქმედო პირი ან საგანი შემასმენლობით ბრუნვაში დგას ... „კაცმან ღმერთი შეიყვაროს“.

საინტერესოა ემანუელე და იგლესიასის რჩევები, რომლებსაც ის ახალბედა მისიონერებს უზიარებს:

ახალბედა მისიონერს ვურჩევ, ქართული ენის შესწავლისას ნება გამოიჩინოს და გულისყურით შეისწავლოს და შეითვისოს ყველა ზემომოყვანილი წესი ზმნების აგებულების შესახებ, თუკი სურს, მარტივად დაეუფლოს გამართულ მეტყველებას და შეძლოს ქადაგებების შედგენა...

ემანუელეს რჩევებს მოსდევს თანდებულების ვრცელი განხილვა, რა დროსაც მისიონერი მაგალითებით ხსნის მათ ფუნქციასა და გამოყენების წესს წრფელობით, ნათესაობითსა და მიცემით ბრუნვებთან.

„ზმნების აგებულება აქტანტების მიხედვით“ – ასე ასათაურებს მისიონერი შემდეგ თავს, რომელშიც სხვადასხვა დროში პირის ნიშნების ხმარების წესს აღწერს. ზმნისა და სამოქმედო პირის შეთანხმებაზე საუბრობს მომდევნო თავში და გრამატიკულ ნაწილს უღლებათა პარადიგმებით ასრულებს.

როგორც აღვნიშნეთ, მისიონერი ზმნის უღლების აღწერისას არ ეყრდნობა ანტონის „ქართულ ღრამმატიკას“, რომელიც, თავის მხრივ,

იტალიელი მისიონერების მიერ შემოთავაზებულ ზმნურ პარადიგმებს ეფუძნება. ანტონი, სამწერლობოსთან ერთად, სამეტყველო ენის ფორმების გამოყენებასაც ცდილობდა. მართალია, ემანუელემ საკუთარი გრამატიკის მოზრდილი ნაწილი „ქართული ღრამმატიკის“ მიხედვით აღწერა, ანტონის წიგნურ ფორმებს ყოველთვის სამეტყველო ფორმებით ანაცვლებდა. ვფიქრობთ, სწორედ ამ მიზეზით აღარ დაეყრდნო ემანუელე „ქართული ღრამმატიკის“ ზმნურ ნაწილს და უღლების პარადიგმები, სასაუბრო ქართული ენის წესებით, არა ანტონის გრამატიკის, არამედ „გორული გრამატიკის“ მსგავსად შეადგინა.

რამდენადაც, ემანუელე და იგლესიასის ნაშრომზე მუშაობა გრძელდება და მზადდება სრული ხელნაწერის აკადემიური გამოცემა. მრავალფეროვანი გრამატიკული მასალა, რომელსაც იტალიელი მისიონერი წარმოგვიდგენს, საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ემანუელე და იგლესიასის ლექსიკონი და ქართული ენის გრამატიკა საფუძველს დაუდებს არაერთ მრავალმხრივ სამეცნიერო კვლევას, რითაც გაამდიდრებს არა მხოლოდ ქართული, არამედ ევროპული მისიონერული გრამატიკის ისტორიასა და ტრადიციებს.

დამოწმებანი

დობორჯგინიძე, ნინო, მაია დამენია, თამარ ჭეიშვილი, ანა ჭკუასელი.

2023. უცნობი ავტორი. „ქართული ენის გრამატიკა და ლექსიკონი.“ *Anonymi “Grammatica & Vocabularium Linguae Georgianae.” ემანუელე და იგლესიასი. „ქართულ-იტალიური ლექსიკონი.“ Emmanuele da Iglesias. “Dizionario Georgiano-Italiano.”* საქართველოს კათოლიკური მისიების ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ცაგარელი, ალექსანდრე, რედ. 1881. *მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან 1737 წელსა, გამოცემული ალ. ცაგარელისაგან სახსოვრად V არხეოლოგიურის კრებისა თბილისის (= Краткая Грузинская Грамматика, составленная Зурабом Шанишовани в 1737 г., изданная А. Ц. в память V археологического съезда в Тифлисе. С-Петербург: Типография Императорской Академии Наук).*

უთურგაიძე, თედო. 1999. *ქართული ენის შესწავლის ისტორია.* თბილისი: ქართული ენა.

ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ. 1885. თბილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა.

ჭკუასელი, ანა. 2021. „ქართული ფილოლოგიის ისტორიიდან: კათოლიკური ინკულტურაცია და XVIII-XIX საუკუნეების უცნობი ლექსიკონები“. სადოქტორო დისერტაცია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Viareggio, Damien J. 1845. “Letter from the Reverend Father Damian de Viareggio, Capuchin and Prefect-Apostolic of Georgia, to the President of the Central Council of Lyons. Trebizond, February 1-13th, 1845.” In *Annals of Propaganda Fide*. Vol. VIII.; No. XLIII: 258-273. Dublin: W. Powell.

Nino Doborjginidze

Ilia State University, Georgia
nino_doborjginidze@iliauni.edu.ge

Maia Damenia

Ilia State University, Georgia
maia.damenia.1@iliauni.edu.ge

Tamar Cheishvili

Ilia State University, Georgia
tamar.cheishvili@iliauni.edu.ge

Ana Chkuaseli

Ilia State University, Georgia
ana.chkuaseli@iliauni.edu.ge

DOI: 10.32859/kadmos/17/88-101

For the Analysis of the Grammatical Section of the Georgian-Italian and Italian-Georgian Dictionary of Emmanuele da Iglesias

The manuscript of the *Georgian-Italian and Italian-Georgian Dictionary*, accompanied by a *Grammatical Overview of the Georgian Language*, compiled by the Catholic missionary Emmanuele da Iglesias, who was active in Georgia and the Black Sea region during the first half of the 19th century, was discovered in 2011-2012 by a Georgian research expedition in the General Archives of the Capuchin Order.

This lexicographical work constitutes one of the earliest Western attestations of a Georgian dictionary produced within the intellectual framework of early modern missionary linguistics. In the Georgian-Italian section, da Iglesias draws directly on Sulkhan-Saba Orbeliani's celebrated dictionary, while simultaneously adapting it to the conventions of European lexicography. In accordance with long-established missionary practice, the dictionary is complemented by a grammatical overview, in which the dependence on, and creative adaptation of, the indigenous Georgian grammatical tradition is clearly discernible.

Supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia, an edition of the extant Georgian-Italian part has already been published, while the printed and digital editions of the Italian-Georgian section and the grammatical overview are currently in preparation. The lexicographical and grammatical data preserved in the manuscript offer a rich corpus for future research, and promise to illuminate not only the history of Georgian linguistic description, but also raise broader questions within the historiography and traditions of European missionary grammar.